ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/18

16/08/2021 18-01-17-4-202108161453

ქ.ქობულეთი

ახალი კორონავირუსის (COVID – 19) ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით თანამშრომელთა დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისა და საქმის წარმოების განსხვავებული წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2021 წლის 12 აგვისტოს რეკომენდაციის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის რეჟიმად განისაზღვროს დისტანციული რეჟიმი 2021 წლის 16 აგვისტოდან ამა წლის 04 სექტემბრის ჩათვლით;

2. თანამშრომელთა 80% გადავიდეს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე;

3. საკრებულოს აპარატის უფროსმა დავალებით განსაზღვროს თანამშრომლების ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გადავა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე (კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას და დისტანციურად შეასრულებენ სამუშაოს);

4. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე მყოფი თანამშრომელი სამსახურში შეიძლება გამოცხადდეს სამსახურებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში;

5. დისტანციურ რეჟიმზე გადასული თანამშრომელი ვალდებულია:

ა) დაიცვას საკრებულოს შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო საათები და განახორციელოს მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება;

ბ) სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შეამოწმოს საათში ერთხელ და დროულად მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

გ) უზრუნველყოს მუდმივ სატელეფონო კონტაქტზე ყოფნა.

6. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში მოთხოვნისთანავე, დაუყონებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) უნდა გამოცხადდეს;

7. ბრძანების საფუძველზე დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასულ პირებს შრომის ანაზღაურება უნარჩუნდებათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

8. საკრებულოს შენობაში მყოფმა ყველა პირმა, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაცია და ჰიგიენის წესები;

9. წინამდებარე ღონისძიებები არის საკრებულოს აპარატის შრომის შინაგანაწესის შემადგენელი ნაწილი, რომლის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება;

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

11 . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა